

საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის ბრძანება №44/01

2010 წლის 17 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და 63-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) გამოყენების ინსტრუქცია თანდართულ დანართებთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ქადაგიძე

საქართველოში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) გამოყენების ინსტრუქცია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) გამოყენების ინსტრუქციის (შემდგომში – ინსტრუქცია) მიზანია საქართველოში საგადახდო ანგარიშებისთვის და შიდასააღრიცხვო ანგარიშებისთვის საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) ფორმატის გამოყენების პრინციპებისა და პროცედურის დადგენა, საგადახდო ანგარიშების და შიდასააღრიცხვო ანგარიშების ნომრების სტანდარტიზაცია, გადახდის ოპერაციის დამუშავების ეფექტურობის გაზრდა, ტრანსსასაზღვრო გადახდების განხორციელების ხელშეწყობა და გადარიცხვების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის სიზუსტის ხარისხის გაუმჯობესება.

2. ამ ინსტრუქციით განისაზღვრება საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) სტრუქტურა და ფორმატი, გენერირებისა და ვალიდაციის ტექნიკა, ასევე ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტებზე საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) ასახვის მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №145/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 2. ინსტრუქციის გამოყენების სფერო

საქართველოში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) ფორმატში გამოყენებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკის, მიკრობანკისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის (შემდგომში – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი) მომხმარებლის (შემდგომში – მომხმარებელი) საგადახდო ანგარიში, ასევე შიდასააღრიცხვო ანგარიშები, რომლიდანაც ხორციელდება გადახდის ოპერაციები ლარით და უცხოური ვალუტით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (შემდგომში – IBAN) – ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით და ISO 13616 სტანდარტის შესაბამისად გენერირებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც წარმოადგენს ლათინური სიმბოლოების და არაბული ციფრების 22 (ოცდაორი) ერთეულის კომბინაციას, და რომელიც გამოიყენება საქართველოში საგადახდო ანგარიშის და შიდასააღრიცხვო ანგარიშის აღნიშვნისთვის;

ბ) სხვა სახის ანგარიშის ნომერი – ანგარიშის ნომერი, რომელიც არ წარმოადგენს IBAN-ს;

გ) IBAN-ის გენერირება – ამ ინსტრუქციის №1 დანართში აღწერილი პროცედურის შესაბამისად საგადახდო ანგარიშისთვის და შიდასააღრიცხვო ანგარიშისთვის IBAN-ის შექმნის პროცესი;

დ) IBAN-ის ვალიდაცია – IBAN-ის შემოწმების პროცესი, რომელიც მოიცავს IBAN-ის ფორმატის შესაბამისობის დადგენას ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლსა და ამ ინსტრუქციის №1 დანართში აღწერილი პროცედურების მიხედვით;

ე) ქვეყნის კოდი – ISO 3166-1 სტანდარტით დადგენილი ქვეყნის აღმნიშვნელი ორი ლათინური სიმბოლო;

ვ) IBAN კოდი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის



(შემდგომში – ეროვნული ბანკი) ამ ინსტრუქციის №2 დანართით მინიჭებული ორი ლათინური სიმბოლოს კომბინაცია, რომელიც წარმოადგენს IBAN-ის ნაწილს და გამოიყენება იმ სუბიექტის იდენტიფიცირებისთვის, სადაც გახსნილია ანგარიში;

ზ) საკონტროლო გასაღები – ორნიშნა რიცხვი, რომელიც გენერირებულია ამ ინსტრუქციის №1 დანართის შესაბამისად, წარმოადგენს IBAN-ის ნაწილს და უზრუნველყოფს IBAN-ის სისწორის დადგენას ვალიდაციის პროცესში;

თ) შიდასააღრიცხვო ანგარიში – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციით“ განსაზღვრული შიდასაბანკო ანგარიში, ასევე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის შიდა სისტემაში გახსნილი ანგარიში, რომელიც არ არის მომხმარებლის საგადახდო ანგარიში.

2. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №86/04 - ვებგვერდი, 19.09.2012 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №145/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 4. IBAN-ის სტრუქტურა

1. საქართველოში IBAN შედგება 22 (ოცდაორი) სიმბოლოსაგან და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) ქვეყნის კოდი;

ბ) საკონტროლო გასაღები;

გ) IBAN კოდი;

დ) ეროვნული ბანკისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ანგარიშისთვის მინიჭებული არაბული ციფრების კომბინაცია.

2. IBAN-ში აკრძალულია ნებისმიერი სიმბოლოს გამოყენება, გარდა არაბული ციფრებისა 0-დან 9-ის ჩათვლით და ლათინური დიდი ზომის სიმბოლოებისა A-დან Z-ის ჩათვლით.

3. IBAN არის ერთიანი და დაუშვებელია მისი რომელიმე ნაწილის განცალკევებით გამოყენება გადახდის ოპერაციებში ან გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 5. IBAN-ის ფორმატის რეგისტრაცია

1. ეროვნული ბანკი ახორციელებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოსაყენებელი IBAN-ის ფორმატის რეგისტრაციას მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოებაში (SWIFT).

2. ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს საქართველოში თითოეული საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის უნიკალური, ერთი IBAN კოდის ერთჯერადად მინიჭებას და აღნიშნული IBAN კოდების ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.nbg.gov.ge) გამოქვეყნებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №86/04 - ვებგვერდი, 19.09.2012 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 6. IBAN-ის გამოყენება

1. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობებით, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) IBAN-ის გამოყენება საგადახდო ანგარიშის და შიდასააღრიცხვო ანგარიშის მიმართ;

ბ) IBAN-ის გამოყენება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ანგარიშთან დაკავშირებულ ნებისმიერ, როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ დოკუმენტზე;

გ) IBAN-ის გამოყენება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ანგარიშთან დაკავშირებულ ელექტრონულ საგადახდო შეტყობინებებში და ამ ანგარიშთან დაკავშირებული ნებისმიერი გადახდის ოპერაციის შესრულებისას;

დ) IBAN-ის ვალიდაცია ამ ინსტრუქციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია, IBAN-ის გენერირება განახორციელოს ამ ინსტრუქციის №1 დანართში აღწერილი პროცედურის შესაბამისად. საგადახდო ანგარიშის ან შიდასააღრიცხვო ანგარიშის ნომერი, რომლის გენერირების პრინციპი არ შეესაბამება ამ ინსტრუქციას, მიიჩნევა სხვა სახის ანგარიშის ნომრად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 7. IBAN-ის ვალიდაცია

1. IBAN-ის ვალიდაცია არის ამ ინსტრუქციის №1 დანართის შესაბამისად IBAN-ის ფორმატის შესაბამისობის დადგენის პროცესი.

2. ვალიდაციის პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) ქვეყნის კოდის შემოწმება;

ბ) ფორმატში სიმბოლოების რაოდენობის კონტროლი ქვეყნის კოდის მიხედვით;

გ) ორნიშნა რიცხვითი საკონტროლო გასაღების შემოწმება;



დ) ფორმატის შემადგენელი ლათინური სიმბოლოებისა და არაბული ციფრების სტრუქტურის კონტროლი (მხოლოდ ამ ინსტრუქციით განსაზღვრული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ გენერირებული IBAN-ისთვის);

ე) IBAN კოდის კონტროლი (მხოლოდ ამ ინსტრუქციით განსაზღვრული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ გენერირებული IBAN-ისთვის).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. 2010 წლის 3 მაისიდან, ბანკი ვალდებულია IBAN მიაწოდოს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ანგარიშებს მათი გახსნისას.

2. ბანკი ვალდებულია 2013 წლის 1 იანვრამდე, უზრუნველყოს ბანკში არსებული, ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა სახის ანგარიშების ნომრების, ამ ინსტრუქციის შესაბამისად, IBAN-ის ფორმატში წარმოდგენა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ბანკს ეკრძალება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ანგარიშებთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა სხვა სახის ანგარიშის ნომრის გამოყენებით.

4. 2013 წლის 1 იანვრამდე, ბანკს უფლება აქვს, ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ანგარიშებისათვის გამოიყენოს როგორც IBAN-ის, ისე სხვა სახის ანგარიშის ნომერი.

5. სხვა სახის ანგარიშების ნომრების ამ ინსტრუქციასთან შესაბამისობის მოყვანისას, ბანკი ვალდებულია კლიენტებს მიაწოდოს ინფორმაცია მათი საბანკო ანგარიშებისათვის IBAN-ის მინიჭების შესახებ. ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს სხვა სახის ანგარიშის ნომრების ამ ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანისა და ამის თაობაზე კლიენტების ინფორმირების პროცედურა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 26 მარტის ბრძანება №47/01-სსმ III, №233, 31.03.2010წ; მუხ.505

მუხლი 9. საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია

საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომები ან/და სანქციები (მათ შორის, ფულადი ჯარიმა).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 27 აპრილის ბრძანება №93/04 - ვებგვერდი, 28.04.2020 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

დანართი №1

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

IBAN-ის სტრუქტურა და საკონტროლო გასაღების გენერირებისა და ვალიდაციის მეთოდი

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გენერირებული IBAN შედგება 22 სიმბოლოსგან, სადაც 1-2 პოზიცია ეთმობა ქვეყნის კოდს, 3-4 – საკონტროლო გასაღებს, 5-6 – IBAN კოდს, ხოლო 7-22 პოზიცია (16 სიმბოლო) ეთმობა არაბული ციფრების კომბინაციას, რომელსაც აგენერირებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერი თავის მიერ დადგენილი წესით. IBAN-ში გამოიყენება მხოლოდ არაბული ციფრები და ლათინური დიდი ზომის სიმბოლოები. ფორმატის ნიმუში: GE29NB0000000101904917.

2. IBAN-ის შემდეგი სახით წარმოდგენა: GE29 NB00 0000 0101 9049 17 დასაშვებია მხოლოდ ვიზუალური აღქმის გამარტივებისთვის.

3. დეტალური ტექნიკური მახასიათებლები:

ა) IBAN ფორმატში წარმოდგენილი ანგარიშის ნომრების საერთო სიგრძე: 22!c;

ბ) IBAN ფორმატის სტრუქტურა: GE2!n2!a16!n (ამ დანართის №1 ცხრილის შესაბამისად);

გ) GE – ქვეყნის კოდი ISO 3166-1 სტანდარტის შესაბამისად, გამოხატულია ორნიშნაანი ალფაბეტური ლათინური სიმბოლოთი;

დ) საკონტროლო გასაღები – 2 არაბული ციფრის კომბინაცია წარმოადგენს რიცხვს, რომელიც განსაზღვრავს IBAN-ის ვალიდურობას და გამოითვლება IBAN-ის სხვა ყველა დანარჩენი სიმბოლოების მნიშვნელობის საფუძველზე. საკონტროლო გასაღები გამოითვლება ISO/IEC 7064 (MOD97-10)-ის შესაბამისად. ალფაბეტური სიმბოლოების რიცხვით ჩანაცვლება ხორციელდება ამ დანართის №2 ცხრილის შესაბამისად.

4. საკონტროლო გასაღები გენერირდება შემდეგი მეთოდით:

ა) გამოსათვლელი საკონტროლო გასაღები ჩავთვალოთ, რომ არის 00 (ნულები) და ჩავსვათ ფორმატში GE00NB0000000101904917;

ბ) პირველი ოთხი სიმბოლო გადაგვაქვს ანგარიშის ნომრის ბოლოს NB0000000101904917GE00;

გ) ამ დანართის №2 ცხრილის მიხედვით ალფაბეტური სიმბოლოები ჩანაცვლდება რიცხვული



მნიშვნელობებით (A=10, B=11, ... Z=35)

NB00000000101904917GE00 (N=23, B=11, G=14, E=16)

231100000000101904917161400

პირობითად ეს რიცხვი აღვნიშნოთ ლათინური სიმბოლოთი – n;

დ) საკონტროლო გასაღების მისაღებად უნდა გამოვითვალოთ ამ რიცხვის MOD 97-10, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$MOD(n; 97) = n - 97 * INT(n/97)$, სადაც INT არის რიცხვის მთელი ნაწილი.

მოცემული IBAN ანგარიშის ნომრის საკონტროლო გასაღები იქნება 98-ს გამოკლებული ეს რიცხვი. ერთნიშნა რიცხვის მიღების შემთხვევაში მიღებულ რიცხვს წინ დაემატება 0 (ნული).

თუ მოცემულ ფორმულაში ჩავსვამთ ჩვენ მიერ გამოყენებულ ანგარიშის ნომრის მაგალითს, მაშინ მივიღებთ:

$98 - MOD(231100000000101904917161400; 97) =$

$98 - (231100000000101904917161400 - 97 * INT(231100000000101904917161400/97)) =$

$98 - 69 = 29$

ანგარიშის ნომრის საკონტროლო გასაღებია 29

GE29NB00000000101904917.

5. საკონტროლო გასაღების ვალიდაცია ხორციელდება შემდეგი მეთოდით:

ა) პირველი ოთხი სიმბოლო გადაგვაქვს ანგარიშის ნომრის ბოლოს

NB00000000101904917GE29;

ბ) ცხრილი №2-ის მიხედვით ალფაბეტური სიმბოლოები ჩანაცვლდება რიცხვული მნიშვნელობებით (A=10, B=11, ... Z=35)

NB00000000101904917GE29 (N=23, B=11, G=14, E=16)

231100000000101904917161429;

გ) საკონტროლო გასაღების შესაბამისობის დასადგენად უნდა გამოვითვალოთ ამ რიცხვის MOD 97-10. თუ გამოთვლების შედეგად მიღებული რიცხვი ტოლია 1-ის, მაშინ საკონტროლო გასაღები სწორია.

ცხრილი №1. გამოყენებული სიმბოლოების განმარტებები

n	ციფრები (0- დან 9-ის ჩათვლით)
a	ასოები ლათინური ანბანიდან (სიმბოლოები A-Z)
c	დიდი და პატარა ზომის ლათინური ანბანის ან ციფრული სიმბოლოები (A-Z, a-z და 0-9)
!	აღნიშნავს სიმბოლოების ფიქსირებულ რაოდენობას (მაგ: $2!n$)

ცხრილი №2. საკონტროლო გასაღების გამოსათვლელი ლათინური სიმბოლოების რიცხვებში გადასაყვანი ცხრილი

A = 10	G = 16	M = 22	S = 28	Y = 34
B = 11	H = 17	N = 23	T = 29	Z = 35
C = 12	I = 18	O = 24	U = 30	
D = 13	J = 19	P = 25	V = 31	
E = 14	K = 20	Q = 26	W = 32	
F = 15	L = 21	R = 27	X = 33	



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №86/04 - ვებგვერდი, 19.09.2012 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 22 თებერვლის ბრძანება №20/04 - ვებგვერდი, 26.02.2013 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 5 ივნისის ბრძანება №58/04 - ვებგვერდი, 06.06.2013 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №86/04 - ვებგვერდი, 10.09.2013 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №76/04 - ვებგვერდი, 11.08.2014 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №123/04 - ვებგვერდი, 15.12.2014 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 17 აპრილის ბრძანება №43/04 - ვებგვერდი, 17.04.2015 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 11 მაისის ბრძანება №51/04 - ვებგვერდი, 11.05.2015 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №75/04 - ვებგვერდი, 04.08.2015 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 აგვისტოს ბრძანება №77/04 - ვებგვერდი, 11.08.2015 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №106/04 - ვებგვერდი, 11.11.2015 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 24 მაისის ბრძანება №53/04 - ვებგვერდი, 25.05.2016 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №89/04 - ვებგვერდი, 06.09.2016 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №117/04 - ვებგვერდი, 26.10.2016 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №130/04 - ვებგვერდი, 16.11.2016 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 24 მარტის ბრძანება №40/04 - ვებგვერდი, 24.03.2017 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 1 მაისის ბრძანება №57/04 - ვებგვერდი, 02.05.2017 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 მაისის ბრძანება №68/04 - ვებგვერდი, 11.05.2017 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №115/04 - ვებგვერდი, 07.08.2017 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 25 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 25.07.2018 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №149/04 - ვებგვერდი, 22.10.2021 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №191/04 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება №150/04 - ვებგვერდი, 01.11.2022 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №145/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №244/04 - ვებგვერდი, 24.09.2024 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №330/04 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 12 მარტის ბრძანება №66/04 - ვებგვერდი, 12.03.2025 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 7 ივლისის ბრძანება №168/04 - ვებგვერდი, 08.07.2026 წ.

№	კომერციული ბანკის/მიკრობანკის დასახელება	IBAN კოდი
1	საქართველოს ეროვნული ბანკი	NB
2	სს „ბაზისბანკი“	BS
3	სს „ბანკი ქართუ“	CR
4	სს „სილქ ბანკი“	BT
5	სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“	VT
6	სს „ზირაათ ბანკი საქართველო“	ZB
7	სს „თიზისი ბანკი“	TB
8	სს „ტერა ბანკი“	KS
9	სს „პროკრედიტ ბანკი“	PC
10	სს „საქართველოს ბანკი“	BG
11	სს „ლიბერთი ბანკი“	LB
12	სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	HB
13	სს „იშ ბანკი საქართველო“	IS
14	სს „პაშა ბანკი საქართველო“	PB
15	სს „კრედიტ ბანკი“	CD
16	სს „პეისერა ბანკი საქართველო“	PS



17	სს „პეივ ბანკ ჯორჯია“	PV
18	სს „ჰეშ ბანკი“	HS
19	სს „მიკრობანკი ემბისი“	MB
20	სს „მიკრობანკი კრისტალი“	BC
№	საგადახდო მომსახურების პროვაიდერის დასახელება	IBAN კოდი
1	სს „იმანი ჯორჯია“	EM
2	სს „ოპპა“	OP
3	შპს „დაირექტ დეპიტ ჯორჯია“	DD
4	შპს „თიბისი ფეი“	TC
5	შპს „უნიფეი“	UP
6	შპს „მანი მუვერს“	MM
7	შპს „მეტრო სერვის +“	MS
8	შპს „აჭარაფეი“	AP
9	სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“	UC
10	შპს „ოლ ფეი ვეი“	DL
11	შპს „ნუმუს“	PP
12	შპს „იუპიეს“	IU
13	შპს „ფეი უნიქარდი“	PU
14	შპს „ენ ბი სი“	NC
15	შპს „მონრემი“	MN
16	შპს „ქლუარდ სისტემს“	CC
17	შპს „ელექტრა ფეი“	EL
18	შპს „ფასტფეი“	FP
19	შპს „ვოლიფეი“	WP
20	შპს „ნეოლეთ“	NL
21	შპს „პეიტრონი“	BB
22	შპს „ინექს ფეი“	NX
23	შპს „პეიფაი“	PY



24	შპს „იზიფი“	EZ
25	შპს „რიკო ფი“	RP
26	შპს „სიფი“	CP
27	შპს „ვიპ ფი“	VP
28	შპს „ბიქეინ301 ჯორჯია“	HI
29	შპს „ნიუ ფეიმენტ სისტემ“	FS
30	შპს „იუნაითიდ ფეიმენტ ჯორჯია“	UG
31	შპს „ქიფზ.მი“	EE
32	შპს „თიფი“	FL
33	შპს „მულტიპრაიმ“	MP
34	შპს „აზრი ფი“	ZR
35	შპს „ოუნი“	ON
36	შპს „გლობალფეი საქართველო“	GG
37	შპს „იფონტ ჯორჯია“	EG
38	შპს „მონეტო“	MO
39	შპს „ნეომინტი“	NT

